

18 სექტემბერი September

12:00

Lisa Batiashvili / violin
and Rising Stars of Georgia
Natalia Kutateladze / mezze-soprano
Giorgi Gigashvili / piano
Sandro Nebieridze / piano, composer
Tsothe Zedginidze / piano, composer

Sandro Nebieridze (*2001)
Two Miniatures for Mezzo-soprano and Piano
Pompous Rhapsody
I Roam

Tsothe Zedginidze (*2010)
Sonata for Violin and Piano
Suite for Two Pianos

Felix Mendelssohn (1809-1847)
Sonata for Violin and Piano in F Major (1838)
Allegro vivace
Adagio
Assai vivace

ლიზა ბათიაშვილი / ვიოლინო
და საქართველოს ამომავალი ვარსკვლავები
ნატალია ქუთათელაძე / მეცო-სოპრანო
სანდრო ნებიერიძე / ფორტეპიანო, კომპოზიტორი
გიორგი გიგაშვილი/ფორტეპიანო
ცოტნე ზედგინიძე / ფორტეპიანო, კომპოზიტორი

სანდრო ნებიერიძე (*2001)
ორი მინიატურა მეც-სოპრანოსა და ფორტეპიანოსათვის
პომპეზური რაფსოდია
დავებეტები

ცოტნე ზედგინიძე (*2010)
სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის
სიუიტა ორი ფორტეპიანოსათვის

ფელიქს მენდელსონი (1809-1847)
სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის ფა მაჟორი
Allegro vivace
Adagio
Assai vivace

სანდრო ნებიერიძე

ორი მინიატურა მეც-სოპრანოსა და ფორტეპიანოსათვის
ორი მინიატურა მეცო-სოპრანოსა და ფორტეპიანოსათვის ლიბა
ბათიაშვილმა სანდრო ნებიერიძეს 2021 წელს დაუკვეთა, ექსკლუზიურად
წინანდლის ფესტივალისთვის. ციკლი მოიცავს ორ მოკლე და ეგზოტიკურ
ნაწარმოებს, რომლებიც დაწერილია გიორგი სარჯველაძის და თავად
სანდრო ნებიერიძის ლექსებზე. ორივე ლექსი ქართულ ენაზეა;
მიუხედავად ამისა, ისინი ხასიათით ძალიან განსხვავდებიან
ერთმანეთისგან. თინეიჯერობის წლებში ვუნდერკინდად აღიარებული
ახალგაზრდა კომპოზიტორის თქმით, სარჯველაძის "პომპეზური
რაფსოდია" არის ფსევდოცინიკური ლექსი, რომელიც ხელოვანისა და
მისი ალტერ ეგოს გრძნობებს გადმოსცემს; ნებიერიძის "დავხეებები" კი
გახლავთ ილუზიური რეალობის სიურეალისტური ნახატი, რომელიც
ზამთარში ტყეში მიტოვებულ რკინიგზას აღწერს.

ცოტნე ზედგინიძე

სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის
სიუიტა საფორტეპიანო დუეტისთვის
სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის და საფორტეპიანო დუეტი
დაიწერა 2021 წელს. იდეა გაჩნდა ბერლინში მოგზაურობისას, როდესაც
ლიბა ბათიაშვილის ინიციატივით ასევე ვუნდერკინდად აღიარებულმა
ცოტნე ზედგინიძემ დაუკრა ბარენბოიმ-საიდის აკადემიაში, შეხვდა რა
ისეთ წამყვან და უნიკალურ მუსიკოსებს, როგორცაა დანიელ
ბარენბოიმი, ფრანსუა ლელუ და იორგ ვიდმანი. დიდ ინსპირაციად და
მოტივაციის წყაროდ იქცა აგრეთვე ლიბა ბათიაშვილის ფონდის
ირგვლივ გაერთიანებული ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსების გუნდი,
მათი იდეური ერთიანობა და ურთიერთგაგება. სწორედ დაგროვილი
შთაბეჭდილებებით დაიწერა ორივე თხზულება, რომელებიც პირველად
სრულდება წინანდლის ფესტივალზე.

ფელიქს მენდელსონი

სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის ფა მაჟორი
მენდელსონი აგრეთვე განიხილებოდა თავისი ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე
ცნობილ ვუნდერკინდად. ჯერ კიდევ ბავშვობაში როგორც
ფორტეპიანოზე, ისე ვიოლინოზე დაკვრის ოსტატმა, პირველი სონატა
ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის ფა მაჟორი მენდელსონმა 1820 წელს,
თერთმეტი წლის ასაკში შექმნა. მისი სიცოცხლის განმავლობაში სონატა
არ გამოქვეყნებულა. არ უნახავს დღის სინათლე არც მის ბოლო, მესამე
სავიოლინო სონატას, დაწერილს ასევე ფა მაჟორში. მენდელსონმა ამ
სონატაზე მუშაობა 1838 წელს დაიწყო. იმავე წელს ის შეუდგა თავისი
შედევრის, მი-მინორული სავიოლინო კონცერტის შექმნას. 15
ივნისისთვის კომპოზიტორმა დაასრულა სონატის სამუშაო ვერსია, თუმცა
მალევე იგი "საცოდავ სონატად" მონათლა და დაიწყო მისი პირველი
ნაწილის გადამუშავება, დაასრულა რა მხოლოდ 151 ტაქტი. მხოლოდ
1953 წელს შეაერთა ეს ორი ვერსია და გამოაქვეყნა სონატა იეჰუდი
მენუჰინმა, მე-20 საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა მევიოლინემ.
გამოცემის წინასიტყვაობაში მენჰინმა აღნიშნა, რომ მენდელსონის
ბოლო სავიოლინო სონატას გამოარჩევს „იმ ეპოქის კეთილშობილი
რომანტიკული თვისებები, რომელმაც შუმანი დაბადა, მოცარტისგან
მემკვიდრეობით მიღებული ელეგანტურობა და სიმსუბუქე და,
ყველაფერთან ერთად, სრულყოფილი ფორმის შეგრძნება, რომელიც
მენდელსონმა შეითვისა თავად ბახისგან“.

ამ დროს საქართველოში...

საქართველოს სამუსიკო განათლების სისტემა, რომელსაც შეუძლია
იამაყოს მრავალი წარმატებული და მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსის,
მათ შორის, ამ კონცერტზე წარმოდგენილი ახალგაზრდების აღზრდით,
მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა. 1820-იანი წლებიდან მოყოლებული
ქართული არისტოკრატიული ოჯახები ყიდულობდნენ დასავლეთ-ევროპულ
მუსიკალურ საკრავებს. ერთ-ერთი პირველი პიანინო საქართველოში
რუსმა პოეტმა და დიპლომატმა, ალექსანდრე გრიბოედოვმა 1821 წელს
ჩამოიტანა და საჩუქრად მის მომავალ მეუღლეს ნინო ჭავჭავაძეს
გადასცა. უკვე 1840-იან წლებში კი კლასიკური მუსიკა ინტენსიურად
ისწავლებოდა არისტოკრატთა ოჯახებსა და კერძო მუსიკალურ კლასებში
საქართველოში საზღვარგარეთიდან ჩამოსული მუსიკოსების მიერ. 1870

წლის 13 მარტს ქართული კულტურის წამყვანმა წარმომადგენლებმა დააარსეს „კავკასიის მუსიკალური საზოგადოება“, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში მუსიკალური განათლების დონის ამაღლება. არსებობის პირველივე წელს საზოგადოებამ იქირავა შენობა 500 ადგილიანი საკონცერტო დარბაზით, რომელშიც რამდენიმე ოთახი მუსიკის გაკვეთილებისთვის გამოიყო. 1871 წლის 1 ნოემბერს საზოგადოებამ გახსნა პირველი მუსიკალური სკოლა, სადაც ტარდებოდა კლასები ფორტეპიანოს, ვოკალის, ვიოლინოს, ჩელოს, ჩასაბერი ინსტრუმენტებისა და მუსიკის თეორიის განხრით. მას შემდეგ საქართველოს სამუსიკო განათლების სისტემა განავითარეს ევროპულმა, რუსმა და ქართველმა მუსიკოსებმა, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ქართული საშემსრულებლო და საკომპოზიტორო სკოლების საერთაშორისო წარმატებაში.

Sandro Nebieridze

Miniatures for Mezzo-soprano and Piano

Two Miniatures for Mezzo-Soprano and Piano were commissioned by Lisa Batiashvili exclusively for the Tsinandali Festival in 2021. The work features two short and exotic pieces composed on two poems by George Sarjveladze and Sandro Nebieridze himself. Both poems are written in Georgian although they differ widely in character. According to the young composer who was considered as a wunderkind in his teens, "Pompous Rhapsody" by Sarjveladze is a pseudo-cynical poem which conveys the feelings of an artist and his alter ego; and "I Roam" by Nebieridze is a surrealistic painting of an illusion-like reality situated on an abandoned railway in the woods during winter.

Tsotne Zedginidze

Sonata for Violin and Piano

Suite for Two Pianos

Sonata for Violin and Piano, and Suite for Two Pianos were also composed in 2021. The concept of both opuses arose during a trip to Berlin when the wunderkind composer and pianist Tsotne Zedginidze, at the initiative of Lisa Batiashvili, played at the Barenboim-Said Academy for Daniel Barenboim, François Leleux and Jörg Widmann. A team of talented young musicians united around the Liza Batiashvili Foundation, their ideological unity and mutual understanding also became a great inspiration and source of motivation. It was with these accumulated impressions that Zedginidze wrote both works which will be premiered at the Tsinandali Festival 2021.

Felix Mendelssohn

Sonata for Violin and Piano in F Major

Mendelsohn was also considered a wunderkind of his era. Prodigy on both piano and violin, he composed his first Sonata for Violin and Piano in F Major in 1820, at the age of eleven. The Sonata was never published during his lifetime, likewise his last Violin Sonata No. 3, written also in F Major. Mendelssohn began work on this Sonata in 1838, the same year he started composing his masterpiece, Violin Concerto in E Minor. By the 15th of June he had completed the composition in draft form, though he declared it a "wretched sonata" and began to revise its opening movement, completing only 151 measures. Only in 1953 did Yehudi Menuhin, one of the great violinists of the 20th century, combine the two versions and edited the Sonata for publication that year. In the preface to the score Menuhin wrote that Mendelssohn's last Violin Sonata "has the chivalrous romantic quality of the age that produced Schumann, the elegance and lightness of touch of the age inherited from Mozart, and in addition the perfect formal presentation which Mendelssohn himself drew from Bach."

Meanwhile in Georgia

The Georgian music education system that can be proud for raising numerous successful and world-known musicians, among others the young talents represented at this concert, dates back to the 19th century. Starting from the 1820s, Georgian aristocratic families had been purchasing Western musical instruments. One of the first pianos brought to Georgia was done so by a Russian poet and diplomat,

Alexander Griboyedov, as a gift to his future wife Nino Chavchavadze in 1821. Already in the 1840s, classical music was taught intensively in families of aristocrats, as well as in private musical classes by international musicians visiting Georgia. In March 13, 1870, the leading representative of Georgian culture founded the “Musical Society of Caucasus” with the intent of raising the standard of playing and disseminating musical education in the country. In the very first year of its existence the Society rented a building with a concert hall with 500 seats and several rooms for music classes. On November 1, 1871, the Society opened the first music school, offering classes in piano, singing, violin, cello, wind instruments and music theory. Since then, the Georgian music education system has been developed by many European, Russian and Georgian musicians who contributed to the success of Georgian performance and composition schools worldwide.



Programme

2021 8-19
September
Tsinandali Festival

3rd Edition